ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1346561

ნომერი: AR1228095

თარიღი : 11.06.2014

გაცემის თარიღი : 24.06.2014

გაცნობის თარიღი : 24.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონ კალანდაძე პ/ნ 01019007977
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 35 ბ. 2

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1208822
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.04.2014

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. ბესარიონ კალანდაძის 2014 წლის 11 ივნისის №AR1228095 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში (სექტორი–მთაწმინდა) ბროსეს ქ. N2–ში, საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 მაისს №689253 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი–მთაწმინდა) ბროსეს ქ. N2–ში, სააქციო საზოგადოება ,,აიდეკო''–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და 2014 წლის 8 აპრილს გაიცა №1208822 მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 22 მაისის ჩათვლით.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში (სექტორი–მთაწმინდა) ბროსეს ქ. N2–ში, სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2014 წლის 6 ივნისს №ბ-12/14125686-16 ბრძანებით ს.ს. ,,აიდეკო''–ს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათების განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების, მუხ. 62, პ.პ-ს საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.